12 წლის შემდეგ...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 სექტემბერი.

”ტორპედო” (ქუთაისი) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

”ტორპედო”: ქანთარია, ჟიბა, ჭილაია, მელიქია (ქორიძე), კურტანიძე, ჟორდანია, ბურკაძე (კორღალიძე), ჩქარეული, მეგრელაძე, დარჯანია, ა. კვერნაძე.

”დინამო”: გაბელია (მჭედლიძე), ანდღულაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, კუდინოვი (პაიკიძე), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ჯოხაძე, ცავა, შენგელია.

გააფრთხილეს ქორიძე.

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

დუბლიორები - 1:4.

ამ მატჩზე დასასწრებად ათასობით ფეხბურთის გულშემატკივარი ამაღლებული განწყობილებით სტადიონისაკენ მოიჩქაროდა. ეს გასაგებიცაა: 12 წლის შემდეგ ტორპედოელები ხომ ჩვენი რესპუბლიკის უპირველეს გუნდს, ქართული ფეხბურთის სიამაყეს თბილისის ”დინამოს” მასპინძლობდნენ. გუნდს, რომელმაც ამ 12 წლის მანძილზე მრავალი ჯილდო მოიპოვა საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე და ამით განუსაზღვრელი სიხარული მიანიჭა ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს, განსაკუთრებით კი ქუთაისის “ტორპედოს”, რომელთა არაერთი აღზრდილი სასახელოდ იცავდა და იცავს “დინამოს” სპორტულ ღირსებას.

მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. თბილისელებს ხომ რეალური შანსი აქვთ ჩემპიონები გახდნენ, ტორპედოელები კი აუტსაიდერთას ზონაში იმყოფებიან და ყოველი ქულა ჰაერივით სჭირდებათ.

თანამემამულეთა მატჩი ბუნებრივია კორექტულად წარიმართა, მაგრამ დაძაბულობა, რაც ორივე გუნდის სატურნირო მდგომარეობამ განაპირობა, ბოლომდე არ განელებულა. ერთხანს მეტოქეები ერთმანეთს ზვერავდნენ. მერე კი საქმესაც შეუდგნენ. პირველად ტორპედოელებმა სცადეს თბილისელთა კარისკენ უმოკლესი გზის მოძებნა. ცდა წარმატებით დასრულდა – 38–ე წუთზე მეგრელაძის ზუსტი გადაცემა ასევე ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა დარჯანიამ – 1:0.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა ანგარიშის შესაცვლელად, როგორც ერთ, ისე მეორე კართან საკმაოდ იყო საგოლე მომენტები, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენს ფეხბურთში, ფორვარდებთან პაექრობაში მეტწილად მცველები გამოდიოდნენ გამარჯვებულნი.

ქუთაისელებმა მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს. “დინამო” კი, მართალია შეფერხდა, მაგრამ ფინიშამდე საკმაო მანძილია და ბუნებრივია, ჩემპიონობისთვის ბრძოლას კვლავაც მონდომებით განაგრძობს.

თ. ხარაბაძე.
“ლელო”, 21 სექტემბერი, 1982 წ.